შესავალი

ურბანული კონფლიქტების ირგვლივ ადამიანთა მობილიზაციას და ამ გზით საქალაქო პოლიტიკაზე საზოგადოების მხრიდან გავლენის მცდელობას დიდი ისტორია გააჩნია. ურბანიზაციასთან ერთად, ქალაქი ნელ-ნელა იქცა ადგილად, სადაც სოციალურმა ბრძოლამ და ემანსიპატორულმა პოლიტიკამ თავი ერთად მოიყარა (Mayer and Boudreau, 2012, გვ. 273). კონფლიქტები, რომელიც საქალაქო გარემოში წარმოიშობა, არ არის ურბანულ რესტრუქტურიზაციასა და განახლებაზე გაცემული უბრალო პასუხი; ამავდროულად ის საზოგადოებაში მიმდინარე უფრო ვრცელ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს ასახავს. „ურბანული სათემო მობილიზაცია ახალი სოციალური დაპირისპირებების და მზარდი პოლარიზაციის პასუხად ჩნდება, რასაც თავის მხრივ, როგორც ნეოლიბერალიზაციის და გლობალიზაციის პროცესები, ასევე სახელმწიფო ძალაუფლების და ავტორიტეტის ტრანსფორმაცია იწვევს“ (Jacobsson, 2015, გვ. 1).

თუკი ურბანული მოძრაობები ქალაქში ცვლილებების სარკეს წარმოადგენს, თბილისში გაჩენილი საქალაქო პროტესტები იმ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების პრიზმაში უნდა განვიხილოთ, რომლებიც საქართველოში უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე მოხდა. მეორეს მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ თბილისში აღმოცენებული საპროტესტო კამპანიები ხშირად ქალაქის ისტორიულ-კულტურული და ურბანული ქსოვილის შენარჩუნების საბაბით მიმდინარეობდა, უნდა მიმოვიხილოთ ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის თავისებურებები, რაც კვლევისთვის სათანადო კონტექსტს შექმნის.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანული მოძრაობები საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა, ქართულ აკადემიურ სივრცეში ნაკლებად გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომლებიც ადგილობრივ საქალაქო აქტივიზმს სოციალური და ურბანული მოძრაობების თეორიების ჭრილში გააანალიზებდა ან თუნდაც - მიმოიხილავდა. წინამდებარე კვლევა 2007-2015 წლებში თბილისში სხვადასხვა ფორმის ურბანულ აქტივიზმში ჩართული ჯგუფების შესწავლის გზით ცდილობს, შეავსოს არსებული ხარვეზები და შემდგომი დისკუსიისთვის სათანადო პლატფორმა შექმნას.

კვლევისთვის ამ პერიოდის არჩევა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. პირველ რიგში, 2007 წელს განეკუთვნება საქალაქო მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე პირველი გახმაურებული აქცია[1]. ქვეყანა ნელნელა გამოდიოდა პოსტრევოლუციური

[1] იგულისხმება ლეონიძის N2-ის შენარჩუნებისთვის „ტფილისის ჰამქრის“ მიერ მოწყობილი აქცია

DRAFT

ეიფორიიდან და არსებული სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის მიმართ კრიტიკული აზრებიც უფრო ხშირად გაისმოდა (Mitchell, 2008). როგორც თავად აქტივისტები აღნიშნავენ (ამაშუკელი და სხვ., 2014, გვ. 11), იმავე 2007 წელს შეიცვალა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი. ცვლილების თანახმად, კანონის ფარგლებში მოექცა ძეგლის მოცულობის გაზრდა, რამაც ძეგლის დასაცავდ ბრძოლის წარმოება გაართულა. წინამდებარე ტექსტში მოვლენების აღწერა 2015 წელს წყდება. მაგრამ 2007 წელს აქტიურად დაწყებული პროცესები ჯერ არ დასრულებულა. ტექსტის ერთ-ერთი მოკრძალებულ მიზანს 2015 წლისთვის არსებული სიტუაციის ანალიზი და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზი წარმოადგენს.

კვლევის კიდევ ერთი ამოცანა იმ სოციალური და პოლიტიკური გარემოს შესწავლაა, რომელმაც საქართველოს დედაქალაქში ურბანული აქტივიზმის დაბადებას ხელი შეუწყო. კვლევისთვის უმნიშვნელოვანესია იმ პოლიტიკურ შესაძლებლობებსა თუ წინააღმდეგობებზე რეფლექსია, რომელიც თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

მკითხველს აქვე ვთავაზობთ მცირე თეორიულ ექსკურსს, რომელიც სხვადასხვა ჯგუფების მობილიზაციის, ჯგუფში გაწევრიანების და მართვის სტრატეგიებს შეეხება. შესწავლილია მათი „წინააღმდეგობის რეპერტუარის“ (Tarrow, 2011) ნაირსახეობები და ბრძოლის მეთოდები. დაბოლოს, კვლევა ცდილობს, შეაფასოს სხვადასხვა პროტესტის წარმატების თუ წარუმატებლობის მიზეზები და აღწერს იმ შედეგებს, რომელსაც თბილისში წარმოქმნილმა ურბანულმა აქტივიზმმა მიაღწია.

წინამდებარე ტექსტი „ჰაინრიხ ბიოლის ფონდის“ სამხრეთ კავკასიის ბიუროს პროექტის, „ურბანული პროტესტის ანთოლოგია“, ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებს ეფუძნება. კვლევის მიზნის მისაღწევად საჭირო იყო 2007 წლიდან დღემდე თბილისში მომხდარი საპროტესტო მოძრაობების შეძლებისდაგვარად სრულყოფილი აღწერა. კვლევითმა ჯგუფმა ცხრა სხვადასხვა საპროტესტო ინიციატივა შეისწავლა[2]. ამომწურავი სურათის მიღების მიზნით, სიღრმისეული, არასტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით, „ტფილისის ჰამქრის“, „უსაფრთხო სივრცის“, „მწვანე მუშტის“, „პარტიზანული მებაღეობის“ და „მწვანე ალტერნატივის“ წევრები გამოიკითხნენ. ინფორმანტთა ცალკე ჯგუფს გუდიაშვილის მოედნის საპროტესტო აქციების ორგანიზატორები და ის ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც სხვადასხვა გამოსვლაში აქტიურად მონაწილეობდნენ,

[2] გუდიაშვილის მოედნის, ლეონიძის ქუჩის,"მზიურის“, ასათიანის ქუჩის პარკის, მირზა-შაფის ქუჩის, „ციყვების“, ვაკის პარკის, დიღმის ტყე-პარკი და „პანორამა-თბილისის" აქციები

DRAFT

მაგრამ თავს რომელიმე კონკრეტული ჯგუფის წევრად არ მიიჩნევდნენ. კვლევის ფარგლებში სულ თოთხმეტი არასტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა. მოგროვილი მასალის კოდირება და დამუშავება თვისებრივ მონაცემთა ანალიზის პროგრამა NVIVO-ში გაკეთდა[3].

კვლევის შედეგები იმ პერსონალურ გამოცდილებასაც ეფუძნება, რომელიც ავტორებმა საპროტესტო გამოსვლებზე ჩართული თუ ჩაურთველი დაკვირვებისას, მათში ჩვეულებრივი მოქალაქეების სტატუსით მონაწილეობის დროს მიიღეს. კვლევითი ჯგუფი აქტივისტების საქმიანობას სოციალურ ქსელებშიც აკვირდებოდა, აანალიზებდა მათ მიერ გამოყენებულ ვიზუალურ მასალას და თვალყურს ადევნებდა საქალაქო აქტივიზმის მედიასივრცეში გაშუქების თავისებურებებს.

მეთოდების მრავალფეროვნებამ ავტორებს საშუალება მისცა, თბილისის ურბანული ისტორიის ეს საინტერესო მოვლენები განსხვავებული თვალით დაენახა, სხვადასხვა კუთხით შეეფასებინა აქტივიზმში ჩაბმული ჯგუფები თუ დამოუკიდებელი აქტივისტები.

DRAFT

[3] http://www.qsrinternational.com/